



აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

მაგისტრატურაში მისაღები
სამართლის
სპეციალობის გამოცდა

საჯარო სამართლის მიმართულებით
სპეციალობის გამოცდა
ტესტის ნიმუში და პასუხები

იურიდიულ და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2022

სამართლის სპეციალობის გამოცდის ფორმა: წერილობითი/ტესტირება

გამოცდის ფორმატი: დისტანციური ან პირისპირ (კანდიდატს რეგისტრაციის დროს შეუძლია თავად შეარჩიოს გამოცდას დაწერს დისტანციურ ფორმატში თუ პირისპირ)

ტესტის სტრუქტურა: ტესტი შედგენა 50 დახურული ტიპის კითხვისგან;

ქულების განაწილება და მინიმალური ზღვარი: თითოეული შეკითხვის მაქსიმალური შეფასება - 2 ქულა; ტესტის მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, რომლიდანაც კანდიდატმა გამოცდის ჩასაბარებლად უნდა დააგროვოს 50 ქულა;

გაითვალისწინეთ!

მაგისტრანტობის კანდიდატს სპეციალობის წერითი გამოცდა ჩაუტარდება იმ მიმართულებით, რომელ ერთ-ერთ მიმართულებასაც აირჩევს (სისხლი, კერძო, ან საჯარო) სარეგისტრაციო განაცხადის შევსებისას;

A) ქვემოთ მაგალითისთვის/ნიმუშის სახით წარმოდგენილია რამდენიმე დავალება და სწორი პასუხები საჯარო სამართლის მიმართულებით:

1. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლედ პირი შეიძლება დაინიშნოს:

- ა. 35 წლის ასაკიდან.
- ბ. 30 წლის ასაკიდან.
- გ. 25 წლის ასაკიდან.
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება:

- ა. 12 წევრისაგან.
- ბ. 9 წევრისაგან.
- გ. 10 წევრისაგან.
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

3. საქართველოში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის უფლება არა აქვს:

- ა. პარლამენტის წევრს.
- ბ. მთავრობის წევრს.
- გ. მოსამართლეს.
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებს:

- ა. პრეზიდენტი.
- ბ. მთავრობა.
- გ. პარლამენტი.
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

5. საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი შეიძლება იყოს:

- ა. საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
- ბ. საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე.
- გ. მთავრობის თავმჯდომარე.
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული:

- ა. ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.
- ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით.
- გ. ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით.
- დ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ფორმას განსაზღვრავს ხელშეკრულების მხარე.

7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე მხარე სახელმწიფო ორგანოა, სასამართლოში მას წარმოადგენს:

- ა. მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.
- ბ. პირი, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.
- გ. მხოლოდ ადვოკატი.
- დ. სასამართლოში წარმომადგენლად დანიშვნის საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტი.

8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსახილველ საქმეს არ წარმოადგენს:

- ა. დავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ.
- ბ. დავა სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე.
- გ. დავა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.
- დ. დავა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე.

9. სასამართლო მიიღებს თუ არა სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

- ა. არ მიიღებს არცერთ შემთხვევაში;
- ბ. სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.
- გ. ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს, რადგან სასამართლოსათვის მიმართვა კონსტიტუციური უფლებაა და ვერ შეიზღუდება;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

10. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში არ აღინიშნება:

- ა. იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;
- გ. იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;
- დ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის შესახებ.

სწორი პასუხები:

დავალება №	სწორი პასუხი
1	ბ
2	ბ
3	დ
4	დ
5	ა
6	ა
7	ა
8	დ
9	ბ
10	დ

B) ტესტირებისთვის მოსამზადებლად, რეკომენდირებული ლიტერატურისა და საკითხების ჩამონათვალი საჯარო სამართლის იხილეთ ქვემოთ:

საკონსტიტუციო სამართალი

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები. საქართველოს მმართველობის ფორმა. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. უშუალო დემოკრატიის ფორმები. არჩევნები. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო ფინანსები. სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება. სასამართლო ხელისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს საერთო სასამართლოები. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. ძირითად უფლებათა ცნება და კლასიფიკაცია. ძირითადი უფლებების სუბიექტები. მოქალაქეობა. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.

ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო მმართველობა. საჯარო მმართველობის ცნება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ადგილი და როლი საჯარო მმართველობის სისტემაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები. საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. საქართველოს მთავრობის საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირების ობიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი და არასამართლებრივი ფორმები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. რეალური მოქმედება (რეალაქტი). ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინფორმაციის თავისუფლება. ადმინისტრაციული წარმოება. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. ადმინისტრაციულ წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული წარმოება დამოუკიდებელ ორგანოში. ელექტრონული მმართველობა. ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი

შესავალი ადმინისტრაციული სამართლის პროცესში. ადმინისტრაციული დავის საგანი. განსჯადობა. მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში. პროცესის ხარჯები. სასამართლო მტკიცებულებები. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. განმწესრიგებელი სხდომა ადმინისტრაციულ პროცესში. სარჩელის დასაშვებობა. სარჩელის დასაბუთება. სარჩელთა სახეები. სარჩელი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. სარჩელი მოქმედების განხორციელების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი. სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ პროცესში. დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუშვებლობა ადმინისტრაციულ პროცესში. გამარტივებული და დაჩქარებული სამართალწარმოება. საიდუმლო ინფორმაციის განხილვის წესი, ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში. საქმის წარმოების განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში

ლიტერატურა:

- საქართველოს კონსტიტუცია.
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, თბ., 2020.
- კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2020.
- პ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2018.
- ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ავტორთა ჯგუფი, რედ: გ. ხუბუა, კ. ყალიჩავა, თბ., 2018.
- მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა, ი. ხარშილაძე, ხ. ლორია, თ. გვარამაძე, თ. ღვამიჩავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., „იურისტების სამყარო“, 2018.